სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/165

ქ. თბილისი 8 ნოემბერი 2021 წ.

„სტუ-ში სტუდენტების სწავლის საფასურის განსაზღვრის შესახებ“ სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2018 წლის 20 სექტემბრის #01-05-04/253 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ს“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ჩ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, აკადემიური საბჭოს 2021 წლის 8 ნოემბრის №01-05-04/31 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. შეტანილი იქნეს ცვლილება „სტუ-ში სტუდენტების სწავლის საფასურის განსაზღვრის შესახებ“ სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2018 წლის 20 სექტემბრის #01-05-04/253 დადგენილებაში და დადგენილების პირველი, მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

„1. ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების, ასევე „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხული პირების (გარდა ამ დადგენილების მე-2 პუნქტში მითითებული პირებისა) ერთი წლის (60

ECTS კრედიტი) სწავლის საფასური განისაზღვროს 2250 (ორი ათას ორასორმოცდაათი) ლარის ოდენობით.

2. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 52-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 52[1] მუხლის მე-7 პუნქტის და „უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების მიერ დოკუმენტების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის #224 ბრძანების საფუძველზე უნივერსიტეტის საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხული პირებისათვის სწავლის საფასური განისაზღვროს შემდეგი ოდენობით:

სწავლების ენა	საბაკალავრო პროგრამა	სამაგისტრო პროგრამა
ქართული	4500 ლარი	4500 ლარი
რუსული	5500 ლარი	5500 ლარი
ინგლისური	12500 ლარი	12500 ლარი

3. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლის საფასური განისაზღვროს შემდეგი ოდენობით:

ა) საქართველოს მოქალაქობის მქონე პირისთვის, უცხო ქვეყნის მოქალაქეობის მქონე ან მოქალაქეობის არმქონე პირისთვის:

ა.ა) ქართულენოვან პროგრამაზე - 5000 ლარი;

ა.ბ) რუსულენოვან პროგრამაზე - 8000 ლარი;

ა.გ) ინგლისურენოვან პროგრამაზე - 12500 ლარი;

4. სტუდენტის მიერ გადახდილი სწავლის საფასურიდან ყოველწლიური სწავლის საფასურის 15% შესაძლებელია გადახდილ იქნეს აბიტურიენტთა მოზიდვის მიზნით, რეკრუტირების აგენტისთვის/სააგენტოსთვის.“

2. დადგენილება ძალაშია 2021/2022 სასწავლო წლის მეორე სემესტრიდან ჩარიცხული, აღდგენილი ან მობილობით გადმოსული სტუდენტებისათვის.

3. დადგენილება დასამტკიცებლად გადაეცეს სტუ-ს წარმომადგენლობით საბჭოს (სენატს).

4. დადგენილება გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე და მისი გაცნობა დაინტერესებული პირებისათვის უზრუნველყოს საქმისწარმოების დეპარტამენტმა.

5. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №64.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დ. გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **ი. კუტუბიძე**